

# ესელი

იუმორისტული  
ჟურნალი

№ 8


# მეოცობი

ფასი 10 კაპ.

380 რა, 19 აპრილი

1915 წ.

## საზავზო პარიკატირა



ბავშვი. ძია, ამ პასკებს ჯვარი რატომ არა აქვს?

ჯარის კაცი. ჯვარი, ჩემო პაწიავე, იმას უნდა გაუკეთონ, ვინც შესკამს.

# „მეგობრობა“

კვირას, 12 აპრილს, შესდგება აკაკის დამკრძალავ კომიტეტის კრება. \*)

(გაზეთებიდან)

## ბატონო რედაქტორ!

უმორჩილესათ გთხოვ, ქვემოთ დაწერილი დამიბეჭდოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში 1940 წლის 26 იანვარს.

## „აპაკის დამკრძალავი კომიტეტი.“

(25 წლის არსებობის გამო)

ამ დღეებში 25 წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც მოკვდა აკაკი და დაიბადა აკაკის დამკრძალავი კომიტეტი, რომელიც დღესაც განაგრძობს თავის მოღვაწეობას.

აკაკის საფლავზე დაირწო აკაკის დამკრძალავი კომიტეტის აკენი!

ნათლად მახსოვს ის დრო!..

აკაკი რომ დასაფლავეს, მხოლოდ მაშინ შენიშნეს დამკრძალავი კომიტეტის წევრებმა, რომ ისინი უბრალო „დაკრძალვის მოყვარულები“ კი არა, პროფესიონალი დამკრძალავები გამხდარიყვნენ და ისეთი გრძნობა განიცადეს, როგორსაც მექიანურე განიცდის, ერთად ერთი ქიანური რომ გაუტყდება ან დაეკარგება.

სასოწარკვეთილებით აღსავსენი ჩამოვიდნენ მამადავითის მთაზე.

ყველას თვალეში განუსაზღვრელი გულგრილობა, აპატია, იხატებოდა; მიხვრა მოხვრა ზანტი ჰქონდათ, ლაპარაკობდნენ მილეულის ხმით, ერთი სიტყვით, მათი ქცევა ისეთ ადამიანის ქცევას ჰგავდა, რომელსაც ქვეყანაზე მიზანი აღარა აქვს და ძალდატანებით განაგრძობს ცხოვრებას.

წყნარ შეშლილობის საზღვარზე იყვნენ.

ერთ მათგანს, სახელდობ ივ. ელიაშვილს სხვებზე უფრო დაეტყო შეშლილობის ნიშნები; შუადამეზე წამოიჭრა ლოგინიდან და აკაკის საფლავზე აირბინა. გათენებამდე დარჩა იქ და განუწყვეტლივ რაღაცას ბუტბუტებდა.

თურმე დარწმუნებული იყო, რომ მთელი დამე აკაკის ესაუბრებოდა; შემდეგ ეს „საუბარი“ „თემში“ დაბეჭდა. როგორც სჩანს, რედაქტორმა გრ. დიასამიძემაც, დაუჯერა, რომ მიცვალებული

\*) მართალია, ადგილობრივ გაზეთებში გამოცხადებული იყო „აკაკის დამკრძალავი კომიტეტი“ დიშალაო, მაგრამ ეს ტყუილია. იმედია, კომიტეტის წევრები ასეთი ხმების გავრცელებით თვალს ვერაფერს აუხვევენ.

ეშმაკი.

აკაკი, უკვე დამარბული, საფლავიდან ელაპარაკებოდა ივ. ელიაშვილს..

აკაკის დამკრძალავი კომიტეტის სხვა წევრებსაც ივ. ელიაშვილის ბედი მოელოდა, რომ კომიტეტის კრებაზე საქმე სხვა გვარათ არ დატრიალებულიყო. კრების გასახილველ კითხვათა შორის პირველი იყო:

—რა ეშველება აკაკის დამკრძალავი კომიტეტს? ერთმა სთქვა:

—გავხსნათ სამგლოვიარო პროცესიათა ბიურო და ცოტას მაინც გავერთობით,—გულს შევაჯერებთო. ეს ზრი უარყვეს, რადგან აშკარა კომერციული სახის მიცემა არ უნდოდათ იდეურ საქმისათვის.

მეორე აზრმა უკენქოთ გაიმარჯვა:

—აკაკის თბილისში დასაფლავებით ჩვენ დავარღვიეთ დიდებულ მგონის უკანასკნელი სურვილი. ეს არის შეუწყნარებელი დანაშაული სახელოვან პოეტის სპეტაკ ხსოვნის წინაშე! ვიღონოთ ყოველივე ღონე, რომ ეხლა მაინც აღსრულდეს მიცვალებულის ნება და მისი ცხედარი ისევ საჩხერეს წავასვენოთ და სხვიტორში მივაბაროთ მიწასო!

აღტაცებული ტაში გაისმა, სახე ყველას გაუნათლდა და თვალეში სიცოცხლის ნაპერწკალი ჩაეკვესა...

იმ დღიდანვე გაჩაღდა აგიტაცია:

გაზეთ „თემში“ დაიბეჭდა ცხარე ფელეტონი ამ სათაურით: „ქართველი ერის ბოროტმოქმედება“, ხოლო „შადრევანში“ მოწინავე წერილი, რომლის მთავარი აზრი იყო: აკაკის თბილისში წამოსვენებით ჩვენ გავცარკვეთ ხალხი; დაგუბრუნოთ ხალხს მისი საუნჯე!..

აკაკის ნეშტი წაასვენეს საჩხერეს და დაკრძალეს 1916 წ. 8 თებერვალს, მთაწმინდაში დასაფლავების წლის თავზე.

ხოლო ვინაიდან იმავე წლის მარტის შუარიცხვებში განხორციელდა 1915 წლის აპრილში ექსარხოსთან აღძრული შუამდგომლობა და დიდუბის ეკლესიის ეზოში შეძენილ იქმნა ადგილი ქართველ მოღვაწეთა პანთეონისათვის, აკაკის დამკრძალავმა კომიტეტმა დაიწყო აგიტაცია მგონის ნეშტის დიდუბეში გადმოსვენების შესახებ

გაზეთ „თემში“ დაიბეჭდა ფელეტონი ამ სათაურით:

—ხმა ღვთისა—ხმა ერისა!

ხოლო „შადრევანის“ მოწინავე ამტკიცებდა, ხალხი იმდენათ გათვითცნობიერდა, რომ კარგათ ესმის ჩვენი დედაქალაქის უპირატესობა სოფელ

სხვიტორთან შედარებით და ადვილათ დასთმობს მეგოსნის გვამსო.

აკაკის დამკრძალავი კომიტეტი 8 გაცხარებით შეუდგა თავის საქმეს და 1917 წლის 8 თებერვალს აკაკის ნეშტი სხვიტორიდან გადმოსვენებულ იქმნა დიდუბეში.

ამ სამეზისმა დაკრძალვამ საბოლოათ გამოჩარხა აკაკის დამკრძალავი კომიტეტი და კიდევ უფრო დაამჩნია მის წევრებს პროფესიონალობის ბეჭედი.

ყხლა ისინი ცოტათი ხანში შესულ საზოგადო მოღვაწეს გულგრილათ ვეღარ უყურებდენ და მესაფლავის თვალით ზომავდენ.

— როგორ გგონია, გიორგი: დიდი დღე აქვს კიდევ სვიმონ მორგვაძეს?

— დარწმუნებული ვარ, ამ ხუთი თვის განმავლობაში დავკრძალავთ!..

საზოგადო მოღვაწეებმაც შეატყყეს ამგვარი მოპყრობა: ჯერ ერიდებოდენ მათ შეხვედრას, ბოლოს კი პირდაპირ გაუბოდდენ და ემალეოდდენ, რადგან უსიამოვნობის გარდა შიშსაც გრძნობდენ ხოლომე.

ექსპრარატორთა ჯგუფები და შანტაჟისტები მუქარის წერილებზე უწინდებურათ თავის ქალას როდილა ხატავდენ, არამედ აკაკის დამკრძალავ კომიტეტის თავმჯდომარის თავს და ქვემოთ აწერდენ: „memento mori!“ ე. ი. გახსოვდეს სიკვდილიო.

ამის გამო კომიტეტის წევრებს „მემენტო მორი“ დაერქვა მტ სახელათ.

მაგრამ ისინი ამას ყურადღებას არ აქცევდენ და მუყაითად განაგრძობდენ თავის საქმეს:

1919 წელს დაკრძალეს ჩვენი გამოჩენილი პედაგოგი ნიკოლოზ ორჯერსამიანი.

1922 წ. დაკრძალეს გვამი ნეტარხსენებულის ჩვენის უბადლო პუბლიცისტის ირაკლი აბზაკაძისა.

1925 წელს ორი ბრწყინვალე დაკრძალვა ჩატარებს: ქუთაისის ქალაქის თავის ქიქიკო ზუთხიანისა და ეროვნულ პოეტის კოლა ცალორთმიშვილისა.

შემდეგ წლებში მოღვაწეთა სიკვდილმა იმატა; ამის მიზეზი ის იყო, რომ ბევრი მათგანი ვეღარ უძლებდა კომიტეტის წევრების, იმ სიკვდილის მოციქულების, ნიდაც კტერას და მუდამ შიშის ზარს თავის მოკვლას არჩევდენ.

ამ გვართ 1929--1932 წ. ხუთმა საზოგადო მოღვაწემ თავი მოიკლა, ხოლო სამი, მათ შორის პუბლიცისტი კ. თუმანიშვილი, კკუაზე შეცდა.

უცნაური სიგიჟე დასჩემდა საბრალო კ. თუმანიშვილს. საგიჟეში რომ ჩასვეს, ერთი გიჟი უბ-

ნის ზედამხედველათ გამოაცხადა და ფეხების ლოკვა დაუწყო; თან ევედრებოდა: თქვენო აღმატებულებავ, გვიშველეთ: სომხის ხალხმა აკაკის დამკრძალავი კომიტეტი შემოგვიჩინა და მუსრს ავლებს ჩვენს მოღვაწეებსო...

1934 წლიდან დაიწყო ქალაქთბილისის ქართველ მოღვაწეებისაგან დაცლა: ვინც სიკვდილსა და სიგიჟეს გადარჩა, ყველა გაეშურა ქალაქიდან;

ამ ჟამათ თბილისში ცნობილ ქართველ მოღვაწეთაგან მხოლოდ მე და ეშმაკი ვიმყოფებით და მორჩილათ ველით ჟამსა მას, ოდეს შეგვეხება აკაკის დამკრძალავ კომიტეტის მსახვრალი ხელი.

თავუნა

ომის ილიუსტრაცია



ლ ა ლ ა ტ ი!

ბატონებო!

ნათქვამია, — ციხე შიგნიდან გატყდებო— და მართლაც ყოველგვარ საერთო, სასარგებლო საქმეს საფრთხე უწინარეს ყოვლისა შიგნიდან მოელის.

ასე დამართა „ახალი მათრახის“ რედაქციასაც.

გვიღალატა და შეცდომაში შეგვიყვანა ბნება კოლომ.

უკვე მეხუთე კვირე გადის, რაც აურაცხელი წერილები მოგვდის ჯოჯოხეთის ყოველი კუთხიდან, რომლებშიაც გვთხოვენ მეორე ნომერში მოთავ-

**სებულ შარადის ახსნახ.** მიზეზი ასეთი დაქინებული თხოვნისა, როგორც გაიგეთ, ყოფილა მრავალგვარი სანაძლეო სხვა და სხვა პირთა შორის დადებული.

ვცან რა ყოველივე ეს, მყისვე წინადადება მივეცი შარადის ავტორს, ბ-ნ კოლოს. წარმოედგინა აღნიშნული საგნის შესახებ ვრცელი და დასაბუთებული განმარტება სამი დღის ვადაში.

ბ-ნმა კოლომ პირველ დღეს იმდენათ მიკიბულ-მოკიბული პასუხი მოგვცა, რომ იქიდან რაიმე გარკვეული აზრის გამოტანა ყოველად შეუძლებელი იყო.

მეორე დღეს, შარადის შინაარსი მან საიდუმლოებათ გამოაცხადა, რომლის გამოქვლივება ვითომ საფრთხეს მოუვლენდა ჟურნალს ცენზორის მხრით.

მესამე დღეს, როცა არ გასჭრა არავითარმა ხერხმა, ბ-ნი კოლო იძულებული შეიქნა სიმართლე ეთქვა. აი მისი განცხადება:

**„ბ-ნო ეშმაკო!**

თქვენ მიერ გამოგზავნილ სასტიკ მოწერილობის შესახებ (№ 102) იძულებული ვარ მოგახსენოთ სრული სიმართლე. 6 მარტს, პარასკევს დილის 9 საათზე, შემთხვევით გადავეყარე ერთ ჩემ ძვირფას მეგობარ ბუზს. 7 თვეა ერთმანეთი არ გვენახა და ამიტომაც იმდენი ვილაპარაკეთ, რომ ორივეს თავი აგეტკივდა და დაღონებული დაგბრუნდით ბინაზე. მტკივანი თავით დაფსწერე ის საბედისწერო შარადა,

დავკაცე ქალაღი და გამოგზავნე თქვენთან, დასაბუქდათ. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა კვირა დღით გადავიკითხე თქვენს პატივცემულ „ახალ მათრახში“ ჩემ მიერ მტკივანი თავით შედგენილი შარადა და ველარაფერი გავუგეწაიკითხე მეორეთ, მესამეთ, მეათედ, მესაედ, მაგრამ ამაოდ. დასასრულ თავი იმით ვინუგეშე, რომ იქნებ სხვამ ახსნას მეთქი. განა ქართული ანდაზა ასე არ ამბობს:—ისა სჯობია მამულისათვის, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“!

ახლა ვხედავ, რომ სხვებაც ვერ აუხსნიათ და ჩემს მწუხარებას საზღვარი არა აქვს. მაწუხებს უმთავრესათ ის გარემოება, რომ შეიძლება იფიქროს ვინმემ, თითქო განზრახ დამეწეროს გაუგებარი შარადა. მე კიდევ იმედს არა ვკარგავ, დარწმუნებული ვარ, როცა თავი ხელმეორეთ ამტკივდება, ადგილათ აეხსნი იმ შარადასაც და მგისვე დავაკმაყოფილებ მკითხველთა სამართლიან ცნობის მოყვარობას.

**პატივის ცემით კოლო.**

აი, ბატონებო, პასუხი ჩვენი შეკითხვისა და ყოველი ეშმაკი თვალცხადლივ დარწმუნდება, რომ ბ-მა კოლომ განზრახ შეთხზა ისეთი შარადა და მით შეცდომაში შეიყვანა, როგორც ჩვენი რედაქცია, აგრეთვე „ახალი მათრახის“ მკითხველები.

ამისათვის მე უკრძალავ მას ორ წარსულ ნომერში შარადის მოთავსებას და ვუსვამ „პავედენიაში ტროიკას“.

დეე იცოდენ მოლაღატეებმა, რომ მათ სასტიკათ სჯის როგორც ზნეობრივი, აგრეთვე იურიდიული კანონი.

**ეშმაკი**

**ო მ ი ს ი ლ ი უ ს ტ რ ა ც ი ა**



**ოფიცრის მოხსენება.**

## მამალი და ინდოური

(იგავი)

მამალმა და ინდოურმა  
წამოიწყეს ერთხელ დავა...  
ინდოური არ სწყვეტს სიტყვას,  
არც მამალმა გაათავა.

დაობდენ, თუ ვინ მათ წორის  
კარგზე უფრო კარგაო!  
თუ რომელი სახლის პატრონს  
უფრო მეტად არგიაო!

ინდოური უმტკიცებდა:  
— „ამა სად შენ და სად მეო!  
მე ვერ ამზლავს, ერთ პირ დადგეს  
თუნდაც მთელი საქათმეო.

შენ კი მარტო ჩემი ფასის  
მეათედიც არ ღირხარო,  
ვერც დონით მძლევ: ხომ არ გინდა,  
ეხლავ მიწა გაგითხარო?!“.

გაგულისდა, მიიწია  
და კისერი წაიგრძელა,  
მამალიც წამოიქინდრა:  
ისიც იწვეს ნელა-ნელა.

ფეხებს დინჯათ აბაკუნებს,  
ისე, როგორც პროკურორი  
და უყივის: — „რას ბოდაეო?  
შენ რით ხარო ჩემი სწორი?!“

ინდოურის მოსაზრებას  
ვინ არ იცნობს ქვეყნადაო,  
დღეს კი სულ ატრუებულხარ  
და ქცეულხარ კვეხნადაო.


ჩემს გამირობა-ვაჟაკობას  
შენ თუ აითვალისწინებ,  
კოტას ენას მოიმოკლებ  
და ამდენს არ იკიკინებ.

ჯერ ერთი, რომ მთელი ეზოს  
თვალი ვარ და სიქადული:  
ფარშავანგებრ ლამაზი და  
არწიავივით გაბედული;

მერე ცირკრის მომღერალი,  
გუშაგი და მეთვალყურე;  
დაიდუბვის, თუ მე პატრონს  
პირნათლად არ ვემსახურე.

დილით ადრე სამუშაო  
მას რომ ელის მინდორ-ველათ,  
განგებამ ხომ მე დამსახა  
მისი ძილის გამფრთხობელათ.

## ომის ილიუსტრაცია



მზვერავი ძაღლები.



გამოქცეულები.

ჩემი ხმა რომ ჩაესმება,  
წამოხტება ფიცხლავ ზეზე,  
მე კი ამდროს ამაყად ვარ  
გაჯგვიმული საქათმეზე,  
და იქვე ვგრძნობ, პატრონს ჩემზე  
თუ რა გრძნობაც გულს უღვივის:  
— „ვენაცვალე მე მამალსო!  
უპ, რა გრძნობით გადმოჰყივის!!!

და განა ეს?! მთელდღით ეზოს  
თვალს ვადევნებ გამჟვრიახეს,  
იქ ხომ ჩემი ერთგულება  
არა ერთხელ დაინახეს.

სხვისი ძალლი ჩამოძვრება,  
სხვისი კატა, თუ სხვა ვინმე,  
სულ კარკალით გავაყრუებ  
არემარეს მაშინ იქ მე;

ან თუ ციდან ძვრაკულა  
მოველეება ეზოს თავზე,  
მყისვე ხმაურს წამოვიწყებ  
გულსაკლავსა გულსაკლავზე,  
რომ ქათმები გაეფრთხილო,  
რომ კრუხებმაც ეს შეიტყონ:  
ჩირგვებსა თუ სხვა ადგილას  
წიწილების მალვა იწყონ.

ერთი სიტყვით, რამდენია  
ჩემი საქმე ჩემი ღვაწლი!  
მთელ ერთ თვეს რომ გესაუბრო,  
ჩამოგივლო, თუ კი მაცლი!

ამას ყურშიმ მოჰყრა ყური  
და შენიშნა: — „დაწყნარდითო!  
თავის თავის მეტი ქებით  
ეგზომ რისთვის გაცხარდითო!

შენ მოგმართავ, მამლაყინწავ,  
მეგობრული რჩევითაო:  
თავზე დიდის წარმოდგენით  
ნისკარტს ნუ სწევ ზევითაო.

არც შნო გაქვს, არც სილამაზე,  
არც გალობის უნარიო,  
არც თუ ინდოური არის  
შენი დასაწუნარიო;

არც დარაჯათ გამოდგები,  
არც მტრის შესახვედრათაო,  
მხოლოდ ეს დაუდგენია  
გამჩენს შენდა ხვედრათაო,

რომ საქათმის ენუხობით  
დაემსგავსო მასხარასო:  
ეგრინო და ეკურკურო  
ქოჩორას და ნაცარასო;

თუ ისინი არ იქნება,  
შენ ვინ რალათ ჩაგადღებსო,  
პატრონი მყის ყელს გამოგჭრის,  
შენს ფესვს მთლად ამოგადებსო!“.

ეს რომ ესმა მამლაყინწავს,  
მყის „დაკეტა გრამაფონი“.  
თუმცა მამლის მსგავსი ქვეყნად  
ბევრზე ბევრი არის, მგონი!..

ონისიმე.

## პარლეზა.

სურათი შინაური აღზრდისა.

კაკლენის რეპერტუარიდან.

**ექიმი.** (ხელში „შლიაპა“ უქირავს) აქ გახლავთ ავადმყოფი ბავშვი, ქალბატონო?

**დედა.** აქ გახლავთ, აქ! მობრძანდით, მობრძანდით, ეს მე მოგიწვიეთ ჩემი ბავშვისათვის. წარმოიდგინეთ, ჩემი უბედური ბავშვი, არ ვიცი რა მიზეზით, დილიდანვე ფეხზე ვერ დგება და სულ ერთ-ავად ვარდება იატაკზე.

**ექიმი.** ვადრება?

**დედა.** დიახ ექიმო ყოველ წუთს.

**ექიმი.** იატაკზე?

**დედა.** დიახ იატაკზე.

**ექიმი.** საოცარია! რამდენი წლისაა?

**დედა.** მესუთეშია.

**ექიმი** გასაოცარია, საკვირველია! ამ წლოვანებაში და ფეხზე კი ვერა დგება, მერე დარისგან დაემართა?

**დედა.** გეუბნებით, რომ არაფერი გამეგება. გუშინ საღამოს სრულიად ჯან-სალათ იყო, დარბოდა ოთახებში, როგორც კურდღელი, დღეს დილით ჩვეულებისამებრ მიველი ლოგინთან, ავაყენე ჩავაცვი ხალათი, შარვალი... როგორც კი დავაყენე იატაკზე, უეცრათ ძირს დაეცა.

**ექიმი.** იქნება ფეხი გაუტურდა?

**დედა.** რასა ბრძანებთ. მივარდი ასაყენებლად, მეორედ კიდევ დაეცა. მე ძრიელ შევწუხდი, კიდევ დავაყენე ფეხზე, ისევ დაეცა. განმეორდა შეიდეჯერ თუ რვაჯერ. ერთი სიტყვით, ბ-ნო ექიმო, არ ვიცი რა არის მიზეზი, რომ დილიდანვე სულ ერთავად ვარდება.

**ექიმი.** საკვირველია, საოცარია!.. შეილება ვნახო ავად-მყოფი;

**დედა.** რასაკვირველია, რასაკვირველია, ექიმო. (დედა გადის, წუთის შემდეგ შემოდის, ბავშვი ხელ-

ში აყვანილი ყავს, ლოყებს ლაყ-ლაყი გააქვს, აც-  
ვია შარვალი, ხალათი რომელიც მურაბით მოსვ-  
რილი აქვს.

**ექიმი.** ოჰო! რა ფუნჩულო ბავშვია! აბა ერთი  
ფეხზე დააყენეთ!

(დღეა იატაკზე დააყენებს, ბავშვი ძირს ვარდება)

**ექიმი.** გაისარჯეთ, ერთი კიდე დააყენეთ.  
(დღეა კიდე იატაკზე აყენებს, ბავშვი ისევ ძირს  
ვცემა) კიდე! (ბავშვი მესამედ ვადრება) გაუგებარი  
ამბავია. (ექიმი მიუბრუნდება ბავშვს, რომელიც დე-  
დას უქირავს.) აბა, ჩემო პატარავ, მითხარი შენ არა-  
ფერი გტკივა?

**ბავშვი.** არა, არაფერი!

**ექიმი.** წუხელი კარგათ გეძინა?

**ბავშვი.** კარგათ.

**ექიმი** დღეს დილით კარგი მადა გქონდა?  
გემრიელი იყო შენი საჭმელი?

**ბავშვი.** ჰო.

**ექიმი.** (დღეს) ჰმ! ეგრეა, სწორედ ეგრეა, ეს  
სიღამბლეა!


**დედა.** სიღამბლე? ოხ, ომერთო ჩემო! (ხელებ-  
ი ზეცისკენ აღაპყრო, ბავშვი კი ძირს დეცა)

**ექიმი.** სამწუხაროდ უნდა მოგახსენოთ, რომ  
ამას სრულებით დაბუყებული აქვს სხეულის ქვეითა  
ნაწილები. მაგრამ მომიტმინეთ, ესლავე დარწმუნ-  
დებით თქვენ თვითონ, რომ ბავშვის სხეულს მგრძ-  
ნობიარობა დაუკარგავს. (ამ სიტყვებით ექიმი მი-  
ლის ავადმყოფ ბავშვთან, რომ ნათქვამი საქმით  
დაუმტკიცოს, მაგრამ გაკვირვებული წამოიძახებს)  
ფუ! აი თურმე რაში ყოფილა საქმე, მერე და  
საიდან მოიგონეთ, რომ ბავშვი ავად არის?

**დედა.** [გაშტერებული] ოჰ! ექიმო, ექიმო!  
სულ ერთავად ვარდება.

**ექიმი.** რასაკვირველია დავარდება, როდესაც  
ორივე ფეხი შარვლის ცალ ტოტშია მომწყვდეული?

**6. გოცირიძე.**



**„ნადარაჯუშენია“**

გავრბოდი სახალხო სახლისკენ წარმოდგენაზედ.  
გავრბოდი იმიტომ, რომ დაგვიანებული იყო. იმ  
ღამეს ს. ს. ა. ქ. ს. წ. მ. წრე სდგამდა „იმედის  
დაღუბვას“. ეს პიესა უქიათ ჩემთვის და მინდოდა  
უეჭველად დაესწრებოდი. მივატანე თეატრს, საათს  
შევხედე—9. ერიჰა, ძალიან დამგვიანებია, გულში  
გავიფიქრე. „ქნიაზ (ესე მეძახის გოლომე გაზეთის გამ-  
ყიდავი) „შადრევანი“ არა გნებავს?“. მე გამოვართვი,  
ვშინჯავ გაზეთს და წთან მივდივარ. უცებ შევედექი,  
ვკითხულობ: „გუშინ სახალხო სახლში წარმოდგენილ  
იყო „იმედის დაღუბვა“. მონაწილეობდნენ პეირეტა  
ქიქოძე და ბარათოვისა“. ესლა კი მთლად ავირიე  
—აი გაუწყრა ღმერთი. აკი დღეს არ უნდა ყო-  
ფილიყო! გამოვბრუნდი უკან გულ დაწყვეტილი,  
ბილეთი კი ჯიბეში მქონდა ნაყიდი. მეორე დღეს  
შემხვდა ერთი ჩემი მეგობართავანი, და მკითხა:

—კაცო რატომ წუხელ არ იყავ თეატრში.

—წუხელ კი არა, გუშინ ღამ იყო, ვუმტკი-  
ცებდი მე.

—არა, წუხელ იყო.

—არა, გუშინღამ.

—რას ამბობ კაცო, მე იქ ვიყავ და შენ მას-  
წავლი!

—მაშ თუ იყავ აბა მითხარ პიესაში რომელნი  
პირი იღებს მონაწილეობას?

—18 კაცი და ქალი.

—ტყუილია, გახარებულმა ვუპასუხე, მონაწი-  
ლეობას იღებდნენ მხოლოდ პეირეტა, ბარათოვისა და  
ქიქოძე, არა გჯერა? წაიკითხე „შადრევანი“.

**ნიკო**

**სათეატრო კურიოზები.**

ავქალის აუდიტორიაში თამაშობდნენ „პეპო“-ს; მე-  
სამე მოქმედებაში გიქოსა და შუშანას დილოგია. ამ დი-  
ლოგის დროს სცენის მოყვარემ საპირფარეშოდან, სადაც მო-  
კარნახეს „ბუღკა“ იყო, ღვინო მოაწოდა და უთხრა: აჰა,  
სამსონ, დალიეო. მოკარნახემ სცენის მოყვარეს წასჩურჩუ-  
ლა: მერე იყოს, მერე, ესლა არამცალიანო. გიქოს ეგონა, მე  
მიკარნახებსო, და შუშანას უთხრა: მერე იყოს, შუშან, მე-  
რე, ესლა არა მცალიან!

როდესაც ახლად დაიწყო ავქალის აუდიტორიაში  
წარმოდგენების მართვა, ქალების შოვნა სცენისათვის ძა-  
ლიან ძნელი იყო. მაშინ სხვათა შორის აწ განსვენებული სა-  
ხალხო თეატრის მოამავე და დაუღალავი მუშაკი მარიამ  
ივენეს-ასული დემურიაც იღებდა მონაწილეობას. ერთხელ  
თამაშობდნენ „თამარ ბატონიშვილს“. რეპეტიციაზე რეჟი-  
სორმა მარიამს ასწავლა: როდესაც მეფე გამოვა, თქვენ გა-  
დადით მარჯვნივ მხარეს. წარმოდგენის ღამეს მარ. ივ.-ს  
დაავიწყდა თავის მიზანსცენა; მეფემ წასჩურჩულა, იქით  
გადადიოთ. მ. ი. ტუჩებზედ თითი მიიღო და ხალხისკენ ხმა-  
მალლა სთქვა:


—ვასოს სულსა ვფიცავ (ლაპარაკში ხშირად იცოდა  
ასეთი ფიცი) იქით უნდა გადავსულიყავ, და დამავიწყდაო და  
ამ სიტყვებით გადავიდა მარჯვნივ.

# ბერძნული კარიკატურა



ბერნარდ შოუ, პეტერლინი, ლონკოვალლო და ანუნციო ამხედრებულნი გერმანული კულტურის წინააღმდეგ.

## შარყები გერმანელ ჯარის კაცებისა



1 ფელდმარშალი, 2 გენერალი, 3 პოლკოვნიკი, 4 პოდპოლკოვნიკი, 5 კაპიტანი, 6 ლეიტენანტი, 7 ფელტფეხელი, 8 უნტერ-ოფიცერი, 9 სალდათი.

რისთვის ჩამოახრჩეს

ისტორიკოსი

სარგის კაკაბაძე

ჩვენს დროში ადამიანის სიკვდილი და ქათმის სიკვდილი თითქმის ერთგვარ შთაბეჭდილებას ახდენს.

ამიტომ, ბევრმა თქვენგანმა შეიძლება სულაც ყურადღება არ მიაქცია იმ ტრადიკულ შემთხვევას, რომელსაც ჩვენს პრესაში ადგილი ჰქონდა.

დედა-კაცთა უმაღლეს კურსების მსმენელთა განჩინებით არ ჯ — შეიღმა ჩამოახრჩო (შეიძლება



ითქვას „გამოახრჩო“) ამავე დედაკაცების ლექტორი სარგის კაკაბაძე.

მიზეზი სასტიკი განჩინებისა წმინდა მეცნიერული, უკეთ ვსთქვათ ისტორიულ მეცნიერული შეცდომა, თუ დანაშაულია.

ჩვენ, თუმცა მოწინააღმდეგენი ვართ სიკვდილით დასჯისა, მაგრამ ამ შემთხვევაში თვით ჩამოახრჩობაც მსუბუქ მსჯავრათ მიგვაჩნია. ჩვენის აზრით ბნი კაკაბაძე უნდა დაეწვათ იმ გაზეთების ალზე, რომელშიაც უმაღლეს კურსებზე მსმენელი დედაკაცების წერილია მოთავსებული. მაშინ იგი ყოველმხრივ განიცდიდა, თუ რა ძნელია ისტორიული ფაქტების გადამახინჯება, როცა მსმენელი ჯერ არ გადამახინჯებულან.

მოკლეთ საქმე ასე იყო:

ძის, ძის, ძის ძეს ნოე წინასწარმეტყველისას, თარგამოსს, ჰყავდა რვა შვილი, რომელთაგან უფროსი იყო ჰაოსი (ქაოსი არ გეგონათ), ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკაზოსი და ეგროსი. ეგ ისეთი ქეშმარიტებაა, რომ თვით უბრალო გლეხსაც კი თვალდახუჭულს შეუძლია გაიგოს.

ამათგან ჰაოსი სომეხი იყო, ქართლოსი ქართველი, ბარდოსი ბორღოელი, მოვაკანი მალაკანი, ლეკოსი ლეკი და სხვ.

ქართლოსს თავის მხრივ ყავდა ხუთი შვილი: მცხეთოსი, გარდაბოსი, კახოსი, კუზოსი და გაჩოსი.

- ჩვენის აზრით (და ჩვენთან ერთად არ. ჯალის აზრითაც) ეს ცნობები გადამახინჯებულია, ვინაიდან ქართლოსის შვილებში მოხსენებული არ არის:
  - ბ) ოსოს, (რომლისაგანაც წარმოსდგა ოსეთი)
  - ბ) თუშოს (მამამთავარი თუშეთისა)
  - გ) ფშაოს (ვაჟა-ფშაველას წინაპარი)
  - დ) ხევსუროს (ხევსურეთი)
  - ე) ქიზიყოს (ქიზიყის მთავარი)
  - ვ) ინგილოს (სინგილო)
  - ზ) სენაოს (სენეთი)
  - თ) რაქოს (რაჭა)
  - ი) ლეჩხუმოს (ლეჩხუმი)
  - კ) გუროს (გურია)
  - ლ) ერუშეთოს (ერუშეთი)
  - მ) აქაროს (აქარა)
  - ნ) კლარჯოს (ქობულეთი) და სხვ.

თითოეულ ამათგანს ჰყავდა მრავალი შვილი. მაგალითად გუროს შეეძინა უფროსი ვაჟი

- ა) ოზურგეთოს,
- ბ) ლანჩხუთოს,
- გ) ბახვოს,
- დ) ნაგომაროს,
- ე) ფარცხმოს,
- ვ) სურგბოს,
- ზ) ასკანოს,
- თ) ბუქნაროს,
- ი) აცანოს და სხვ.

ბ-ნმა კაკაბაძემ, განზრახ, რასაკვირველია, ყოველივე ეს დამალა და მით შელახა პატრიოტული მგრძნობიერობა თვისთა მსმენელთა და საზოგადოთ მთელი ქართველი ერისა.

ამიტომაც, აშკარაა, უნდა მომხდარი ყოველივე ის, რისი მოწამეც ჩვენ ვაგვხდით და რამაც საფსებით დააკმაყოფილა ჩვენი შებღალული თავმოყვარეობა. ცხადია, უნდა ჩამოეხრჩოთ მამულის მოღალატე მეცნიერი.

მორიელი

# კურთხევა

(ლანჩხუთი)

აქ კი ამ უმად მე მიუაქვევლი  
 თქვენს ყურადღებას,  
 (რალა თქმა უნდა თუ მბოქება  
 ეშმაკი ნებას)  
 რომ ერთმა ქაჯმა ჯოჯოხეთიდან  
 იბრუნა პირი,  
 (თუმც რენეგატებს საითაც წაველენ  
 აღარ მივსტირი)  
 მაინც მპარაზებს ამათი წესი  
 და ანგარიში,  
 როგორ იცვალოს ქაჯეთის ტომმა  
 რჯული და ჯიში  
 აქ ჯოჯოხეთი გადავცივალოს  
 ანაფორაზე,  
 იქ დადებული ფიცი გასტეხოს  
 „ფიქრის გორაზე“.\*)  
 მიიღოს ჯვარი (თქვენ არ გეგონოთ  
 სისხლის და ომის,  
 არა, სხვა გვარი მოსაპოვები  
 წვენი და ღომის.)  
 „ქაჯეთის ციხეს“ უნდა უყუროს  
 აწე 'მურითა,  
 დაუწყოს დევნა კათაკმაველებს  
 საცეცხურითა.  
 თვის იდეალათ «დრამა» საკურთხი  
 რომ დაისახა,  
 სოციალიზმიც ალბათ არჩიეთან  
 ხურჯინში ნახა,  
 მას ეამსა შინა მარქსის მოწაფეს  
 თაბუნს\*\*\*) „ანისა“,  
 ჰხამს ქადაგება «კაპიტალის» თუ  
 კურთხევენისა?  
 „სულთა თანა და აღსრულებულთა“  
 რომ აღავლინა,  
 მოიხსენია „სარაიონო  
 და ძველი ბინა“?  
 რამეთუ გვიან ადგილი თვისი  
 კი მიაკვლია,  
 უნდა გვახსოვდეს, რომ გვამი ესე  
 ნადიაკენია,  
 ამიტომ მასში ძალა ქაჯეთის  
 გამოილია

\*) „ფიქრის გორა“ ცნობილი ადგილია ლანჩხუთში.

\*\*) „თაბუნი“ ტოლ-ამხანაგი (გურიისში).

და მოგვევლინა ანაფორაში  
**მამა ილია.**  
 ღვთიური სახით განშორებია  
 მიწიერ ზრახვას,  
 რამეთუ ფიქრობს მეშვიდე ცაზე  
 ანგელოზთ ნახვას,  
 მარა მას დასდევს „უჩინ მაჩინით“  
 ეშმაკი ორი,  
 რომ დაუფეთოს სულიერ მამას  
 საჯდომი ჯორი.  
 ჯორმა წყეულმა და ნათხოვარმა  
 იმანც ქირაზე,  
 გადაისროლოს მამა ილია  
 დაბლა ყირაზე.  
 მეტანიასა იქმოდეს იგი  
 წითელ ტალახში,  
 ჯორი ხტუნავდეს ეშმაკთა ტაშზე  
 მწვანე ბალახში.  
 შორით ზარის ხმა მამა ილიას  
 მოუწოდებდეს,  
 მრევლი ახალი დაგვიანებას  
 ღვდლისას გოდებდეს.  
 ორი ეშმაკი მაშინვე შეჯდეს  
 ფეთიან ჯორზე,  
 გაჰყვეს ზარის ხმას გადაიაროს  
 „გათხრილისკორზე“.  
 გამოეცხადოს აკეთელ ხალხსა  
 და უთხრა ასე:  
 ღვაწლი და აზრი თქვენი მოძღვრისა  
 ჩვენ და ვაფასე.  
 გვამი რომელი ეშმაკეული  
 მას ეამსა შინა  
 იდგა ჯოჯოხეთს და ყოფნა მუნით  
 ვერ მოითმინა,  
 ვერცთქვენ გაცხონოს,ვერცა გაგიღოს  
 სამოთხის კარი,  
 ვითარცა „დრამა“ არცა საკურთხე  
 არა სთქვას ვარი.  
 ჩვენ კარგათ ვიცით ამათი ჯიში,  
 ტომი და გვარი,  
**ლიდმა ფილიპემ** უნივერსიტეტით  
 ითხოვა ჯვარი,  
 რამეთუ ღვაწლი სასულიერო  
 იმასაც სურდა,  
 (თუმც აზრი წმინდა ესე ვითარი  
 არ შეუსრულდა),  
 ამავე ზრახვით მან მოიხადა  
 ციური ვალი,  
 გზასა მას წმინდას კლავ შეაყენა  
 შთამომავალი.

**თაბუნი.**

# ბრძოლა კვილ ჩვეულებუთან

„წიწამურის ბოლოში, ჩვენს მოკირნახულე ილიას ვერაგები რო მოსაკლავად დახვდენ, მტარვალებს ასე შეუტია: „რ ა ს ს ჩ ა დ ი ხ ა რ თ ო“. დღეს მეც იმასვე ვეტყვი იმ პატარა გუნდს ჩვენის რნტელიგენციისას, რომელსაც გულწრფელად, მაგრამ უვიცობით, საგნათ აულიათ ხ ა ლ ხ უ რ ჩ ე ე უ ლ ე ბ ა თ ა მ ო ს კ ო ბ ა ა ნ უ გ ა დ ა გ ე ვ რ ე ბ ა...“

ჩვენ, ნასწავლებმა რომ ხალხსა და ხალხონურს ზურგ ა ვ ა კ ი ე თ, ხალხმაც აღმაცერად შემოგვხვდა, ოცლა-ათი წელიწადი ხალხში ვტრიალებდი და „ნასწავლს კაცებზე“ სოფლებში საყვედური მეტი გამიგონია, ვიდრე ქება.

ოციოდე წლის წინათ ქ ე ლ ე ხ შ ი ს ხ ე ა - და - ს ხ ე ა სოფლებიდან შეკრებილ ხალხს გამოუცხადე—სკოლას გაგისხნით მუქთად, ოღონდ შენობის ნახევარი იკისრეთ მეთქი. იგორილა ამოდენა შეზარბოშებულმა გლეხობამ და ერთპირათ დაიყვირეს: არ გვინდა სკოლა! ამასთან ისიც დაადასტურეს, რომ, რაც „პლუტი“ კაცები იმ სოფლებში აღმოჩნდენ, სულ სკოლაში ნასწავლები იყვნენო.

ყველაფერს დასთმობს ხალხი —თავისუფლებასაც კი, მაგრამ ზნეჩვეულებათა ვერ დასთმობს.

ქრისტეს მოციქულებს ღრმად ესმოდათ ასეთი ხალხური ფსიხოლოგია და ეს იყო მიზეზი, რომ ქრისტეს მქადაგებელნი ხალხის ზნე-ჩვეულებას არ შლიდენ. მაკალითად, რადგან ლათინელ ქურუმები განხე (?) თმას იპარსავდენ, ამის გამო მოციქულებმა გაქრისტიანებულ ლათინებს წვერ-ულავაშ მოპარსული მღვდლები დაუყენეს, რ ა დ გ ა ნ ხ ა ლ ხ ს ვ ე რ წ ა რ მ ო ე დ გ ი ნ ა, თ უ გ ა უ პ ა რ ს ა ე მ ღ ვ დ ე ლ ს მ ა დ ლ ი და ს ი წ მ ი დ ე ჰ ქ ო ნ ო დ ე ს. აღმოსავლეთის ქვეყნებში-კი ქრისტეს მოძღვრების მქადაგებელმა დასმა მ ღ ვ დ ლ ე ბ ი ს წ ვ ე რ ი ა ნ ო ბ ა და ა - წ ე ს ა, რ ა დ გ ა ნ ხ ა ლ ხ ს ვ ე რ წ ა რ მ ო ე დ გ ი ნ ა უ წ ვ ე რ ო მ ღ ვ დ ე ლ ი.

სამწუხაროდ ჩვენი გაზეთების ფურცლებზე ხანდისხან გამოაპრტყვენენ ხოლმე უგუნურს დეენ ა ს ხ ა ლ ხ უ რ ჩ ე ე უ ლ ე ბ ა თ ა წ ი ნ ა ლ მ დ ე გ. ამ საწყლებმა მართლა დიდი განხეთქილება შემოიღეს ინტელიგენციისა და ხალხის შუა. რადგან გლეხობას სხვა ღონე არ ჰქონდა, გასცა მათ პასუხი ზიხლით, ჩუმი დუმილით, წყევლა-კრულაოთ, თვით პრესის სიძულელით... ბექდურ სიტყვას ხალხში სახელი გაუტყდა, გაზეთებსა და წიგნაკებს სოფლებში გაუბრძოდენ და მკითხველებს ჩვენი პრესა ფართო წრეებში ვერ შოულობდა.

გაზ. „სამშობლო“. თ. ჟორდანი

—საით მიეჩქარები, ბესო?

აღერსიანათ ჰქტხა სოფ. ქყანში ახლად განწესებულმა მოძღვარმა, თვედორე ჟორდანიამ, ლაფში მოსერბილსა და წვიმისაგან გაწუწულ გლეხს, ბესო დოცლაპიაშვილს.

—გალმა სოფელში, მამაო, აი ფერშლის დოხტური მინდა ვნახო, დედაკაცი გამიხდა ავად.

—როგორაო? ფერშალთან მიდიხარ? გავიჟდი, შე ოხერო? მერე ვინ გირჩია ეგ სისულელე, ვინა?

—აი, უჩიტელომა შენი ქირიმე; თუ უშველის ისევ ფერშალი უშველისო. აბა მე რა ვიცი...

—იიიჰ, ეგ ნასწავლი კაცები, ეგ ნასწავლი კაცები! ნუ თუ, ბესიკო, შენ არ იცი, რომ ნასწავლი კაცები ქვეყანას ატყუებენ და გზას უბნევენ? ისინი ცდილობენ ჩვენს საუკუნოვან შეთვისებულ ზნე-ჩვეულებებს ნიადაგი დაუკარგონ, ფრთები შეაკვეცონ. ამისთვის ისინი ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ, ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ.

—ჰაი, ჰაი, რო მანგრეა. შენი ქირიმე...

—აი ახლაც შენ ფერშალთან გარბიხარ, თითქო ჩვენს სოფელში მკითხავი არ იყოს. განა სირცხვილი არ არის ასეთი უმადურობა ჩვენი ძველი კულტურისადმი? ქართველ ხალხის გენიას ტყვილათ კი არ შეუდგენია ანდაზა: „ნუ დაჰკარგავ ძველსა

გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო“. ტყვილათ გულს ნუ იხეთქამ. მიდი ჩვენს პელუსთან და ის ათასჯერ უკეთ გეტყვის რა გესაქიროება ამ გასაქიროში.

—კარგი, შენი ქირიმე. ღმერმა აკურთხოს შენი გამჩენი. მეც გულში ემანგრე ვფიქრობდი, მაგრამა აი იმ უჩიტელომა სასაცილოთ ამიგდო. ბიჭებიც რო აიყოლია, თორემ...-

საღამო ხანს ბესო დოცლაპიაშვილმა ჩაიღო ჯიბეში ქონით გვერდებ შებრწყინებული ქაღალდის სამ მანეთიანი და ეახლა სოფლის ბოლოზე ძველ ქოხში მცხოვრებ მოხუც პელუსას. ჩვეულებრივი სალამის შემდეგ ბესომ უამბო მკითხავს ყველაფერი და თან სამი მანეთიც გადასცა.

—საქმე სახუმროთ არა გქონია, შეილო! დინჯათ დაიწყო პელომ—მაგრამ ღმერთი მოწყალეა, თუ დაუზარელათ აასრულებ ჩემს დარიგებას, უსაშველო არაფერია.

—ყველაფერს რასაც მიბრძანებ, შენი ქირიმე.

—მაშ კარგი. შენს დედაკაცს ლეხის ჯვარის ძალი სტანჯავს. საქიროა ხვალვე დააწვინო ურემზე და წაიყვანო მოსალოცათ, მაგრამ ჩენი წმინდა გიორგი რომ არ განრისხდეს ჩვენს ეკლესიას მიჰგვარე ერთი წლივანდელი ბატკანი, ხოლო მღვდელს

სამგზის აწირვიე. ეს სამი მანეთი ჩემთვის ბევრია, მე ორიც მეყოფა. შენ დღეს თითონ გქირია და აი ერთი მანეთი დაიბრუნე.

ამ განსაცვიფრებულმა კაცთ მოყვარეობამ ბესო დოყლაპიაშვილს ქეშმარიტათ გული აუჩუყა და თვალბეზე ცრემლი მოჰგვარა. მას არ უნდოდა ფულის უკანვე გამოერთმევა, მაგრამ კაცთ მოყვარე პელომ ბოლოს უბრა'ანა აელა და ისიც იძულებული გახდა დამორჩილებოდა.

მეორე დღეს ბესო დოყლაპიაშვილის პატარა ბიჭმა, თანდილამ, დილაადრიანათ მიჰგვარა მამა თევდორეს კარგა მოზრდილი ყოჩი და სამი მანეთი საწირავი. თითონ ბესომ მოაწყო მშვენიერი ჩარდახი, დააწვინა შიგ სულთ მობრძვი მეუღლე და გაუდგა გზას სოფ. ლეხისკენ. გზა მეტათ ცუდი იყო და ავთმყოფს უარესობა დაეტყო. უფროსი ვაჟი და ქალიც თან ახლდა დოყლაპიაშვილს. რა საშუალებას არ მიმართეს, მაგრამ ფეფე თან და თან ჰკარგავდა გრძობას, ფერი ეკარგებოდა და თვალბესაც ვეღარ ახელდა. ჯერ კიდევ 15 ვერსი აკლდათ ლეხის ჯვარამდე, რომ დოყლაპიაშვილის მეუღლემ სული განუტევა.

— შენ სწორეთ გიყი უნდა იყო, თორემ ნუ თუ აქ გაუგებარი არის რამეო, ებრძოდა შავებში შესუდრულსა და დარეტიანებულ ბესოს მასწავლებელი დათიკო. — კარგი, დაკლავ მაგ ხარს, ძროხას, დახარჯავ შეიდრავა თუმანს, გააძღობ მთელ ხეობას, შენ ტყავი გაძებრება და მიცვალებულს კი ვერაფერს უშველიო.

— არა, შვილო, შენ კარგათ ამბობ, მაგრამ ხომ გაგიგონია: ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო. ასე უქნია ჩემს პაპას, ჩემს მამას და მეც ასე უნდა ვქნა. გუშინ აი ჩვენმა მღვდელმა კინაღამ ცოცხლად დამმარხა. — „შე მოღალატე, შე უგუნურო, ნუ თუ შენ გინდა საუკუნოებით ხალხისაგან შექმნილ კულტურას ძირი გამოუთხარო“. გესმის, შვილო, მოღალატეს მეძახიან. რაც მომივა მემივიდეს.

ჩინებული ქეღების შემდეგ, ცოტა ზომანედ მეტათ შემხიარებული მოძღვარი თედორე არხენათ მიათოხარიკებდა სხვა და სხვა სანოვავით დატვირთულ ლაფშას დოყლაპიაშვილის სახლიდან შინისკენ.

— ეგ მატრაკვეციები, რომლებსაც ხალხის იდელების არაფერი გაეგებათ და ნასწავლ კაცებთ კი მოაქვთ თავი, ჩემის აზრით ჩამოსახრჩობნი არიან.

გაცხარებით ელაპერაკებდა ფოფოღია თებრონეს მამა თევდორე.

— რა ამბავია, ბატონო, რაზედ გაგაჯავრეს იმ ღვთის პირიდან გადავარდნილებმა. მოკრძალებით ჰკითხა ფოფოღიამ.

— როგორ თუ რაზედ! სამარხი ფული ხუთი მანეთი იყო, ახლა სამზე ჩამოიყვანეს, ჯვარსაწერი თუნიდან ხუთზე და ასე ბოლომდის. რომ ჰკითხო, საქვეყნო საქმეს აკეთებენ და ნამდილათ აი ეროვნულ კულტურას ვერაგულათ ძირს უთხრიან.

— მე უწინაც კვეამი მომიღოდა იმისი რჩევა... აღვლევებით მიუგო ბესო დოყლაპიაშვილმა მამა თევდორეს, როცა ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა მიცვალებულის საფლავზე საკურთხის გატანაზე, — რა სარგებლობაა, მე სასმელ საქმელი მკედარს მოვეუტანო, როცა სახლში ცოცხლები სიმშლით მებოცებიან.

— განა მიცვალებულის სული არ მოითხოვს საზრდოს?

— თუ მოითხოვს, რატო მას არ აქმევ და შენ მიგაქვს სახლში შენი ჯალაბისათვის!

— კარგი, ვთქვათ, მე მიმაქვს და ჩემს სახლობას ვაქმევ, მაგრამ მართო ეს კმარა საკურთხის მოსასპობათ? შე უგუნურო, განა ეს წესი ჩემი ან შენი, დღევანდელი, ან გუშინდელი მოგონილია?! შენ არ იცი, რომ მაგას მრავალი საუკუნების სახელოვანი ისტორია აქვს, რომ ეს ქართველი ხალხის იდეალია?

ბესო დოყლაპიაშვილი მეორე კვირას კალათით ხელში სასაფლაოსაკენ მიემურებოდა, რომ მოეხადა ეროვნული ვალი. კალათში ერთი თუნგი ღვინო, ორი ნახუქი, ერთი ქადა და სამი დედალი იღო. მამა თევდორეს მხილებამ ის კვლავ მოიყვანა გონს და დაუბრუნა სამშობლო კულტურის წიაღს.

ასე ძნელია ჩვენში ნასწავლ კაცებთან ბრძოლა და ვაშა იმ მოძღვარს, რომელიც ეგრე სასიქადულოთ გაუმკლავდება მათ გამხრწნელ საქმიანობას და შეჰკივლებს:

— რას სჩადიხართ! რას სჩადიხართო!

ეშმაკი.



უ ლ ტ ი მ ა ტ უ მ ი

(აჯიკაბულიდან)

ჯგუფი მავალებს, გაცნობოთ,  
-- ნუ სწერთ შარადას ძნელსაო,  
თორემ „მათრახის“ კითხვაზე  
სრულათ ავიღებთ ხელსაო.

კოლოებისგან ისედაც  
აქ დღე გვადგია შავიო,  
შარადის წერას მაგ „კოლომ“  
სულ გაანებოს თავიო.

ან და დასწეროს ისეთი  
ადვილი გამოსაცნობი,  
ახსნა გაგება შარადის  
არ იყოს ეგ ზომ საგრძნობი.

პირველს ხო, არა უშავდა,  
ავხსენით, ბღღვირი ვადინეთ;  
„ზარი“, „ბაზარი“ და „ანი“  
ვსწმიდეთ და ვაშალაშინეთ,  
სანამ არ ვპოვეთ სწორეთ ის,  
რაც მეტის-მეტათ გვჭირა,  
რომ დაუმინოთ ჩვენ ლოთებს  
ვისგანც არა გვაქვს ძილია.

მეორეს აღსნა ვერ შევსძლეთ,  
კინალამ ტვინი ვიჯაყვეთ:  
(ვარდი, მზე, ია, ყაყაჩო,  
თუმცა ბევრ ხანსა ვიძახეთ.)

მესამე ავხსენით მარა,  
არ დარჩა მთელათ ადვილი,  
აღარ მოვეშვით ჩვენ მაინც,  
დაეთმინეთ იმ დღეს სადილი.

ჩვენ თუმცა უმადური ვართ,  
მადლობას გეტყვით აქარა,  
ხალხი ბეჩავი, უმწეო,  
ვხედავთ რომ წელში გამწყდარა.

(ჩვენც გადავწყვეტეთ იმათთვის  
გავილოთ მცირე წვლილია,  
და ცოტათ შეუშუსუბუქოთ  
უზომო ვასაქირია.)

მეოთხე: „მე“ და „ისარის“  
აღრე მივიხვდით განზრახვა,  
ამ ხანათ აღარ დაგვირდა,  
სიტყვების ძებნა და ჩმახვა.

მართლაც რომ სამწუხაროა  
ამგვარი პროვაცია,  
(უფრო ძნელია როცა შინ  
მრავლათ გვყავს ავი კაცია)

მეხუთე შარადისათვის,  
სულ ირგვლივ შამოვირბინეთ,  
დაბლა ქვესკნელშიც ჩავეშვით,  
ხანაც ზეცაში ვიფრინეთ.

ბოლოს კი ვპოვეთ ასული,  
თქვენ რო ბრძანებდით სწორეთ ის,  
თურმე ნუ იტყვიოთ, უცნობი  
არც კი ყოფილა ის ჩვენთვის.

ამ ხანათ, როგორც გადმოგვეცეს,  
ვარდენის ახლოს დაფრინავს,  
რის გამო, თურმე ღვანკითლის  
მთელი ღამობით არ სძინავს.

სადგურიც იქ აქვს მოზრდილი  
(თუმც სახურავი აკლია,)   
ავეჯიც ყრია შიგ მარა,  
სულ რომ არ იყვეს მადლია.

ამ სიტყვებიდან მივიღეთ  
სიტყვა რამ მართლაც საამო,  
ჩვენი დიდი ხნის ოცნება  
და სადღეისო მალამო.

ის იყო უნდა გვეყვირა  
მთელ ქვეყნის ვასაგონათა,  
მიმოვიხედეთ გარშემო  
თავი ვიგრძენით მონათა .

გულში კი ვავიშორეთ  
ორმოცხელ არა, ნაკლები,  
(ცხრა მთას იქითაც მგონია  
შვებას იგრძობდნენ საწყლები)

აბა რომ მართლაც გვეყვირა  
ხომ კი დაგვსჯიდნენ ყველასა,  
(„ეშმაკი“ რის ეშმაკია  
შეგვამთხვევს ხათაბელასა.)

კვლავ დასასრულ გიმეორებთ  
ნუ სწერთ შარადას ძნელსაო,  
თორემ „მათრახის“ კითხვაზე  
მთელათ ავიღებთ ხელსაო.

ჩვენებური.



# წარმოდგენა პროპინსიასი.

სწორეთ მეშვიდე თვის დამლევს მოვიდა სოფელ მეწყერის კანცელარიაში ასეთი ქალაღი:

„ნება ეძლევა ბ-ნ ბეჟან ღირღიტაძეს, გამართოს სოფელ მეწყერის სამრეველო სკოლის დარბაზში, (სასულიერო შთავრობასთან შეთანხმებით) სახალხო წარმოდგენა, რომლის წმინდა შემოსავალი მოხმარდება ადგილობრივი წმინდა-გიორგის ეკლესიის გატეხილი ზარის შესწორებას. ნებადართულია წარმოდგენილი იქნას კომედია ა. ცაგარეიშვილისა „ციმბირელი“ ზემორე აღნიშნული პირის სრული პასუხის მგებლობით.“

ვინაიდან წარმოდგენის გამართვის ყუელიერში ეპირებოდენ, ბ-ნმა ღირღიტაძემ თხოვნა თებერვლის პირველ რიცხვებში წარუდგინა ადგილობრივ ბოქაულს ლუკა ლუკიევის, მაგრამ რადგანაც საჭირო მარკა თხოვნაზე უკვე მაგრათ დაწებებული აღმოჩნდა და ეს კი ბოქაულისადმი უნდობლობას ნიშნავდა, ლუკა გარისხდა:

— მე ვერ მივსცემ ხალხს ნებას ამ საერთო არეულობას დროს წარმოდგენის სახით კრებები მართოს, და მაზრის უფროსმა რაც უნდა ისაქნასო. აი ამიტომაც ღირღიტაძის თხოვნა მარტის პირველ რიცხვებში შვიდი სტრატეიკის ხელით მაზრის უფროსს, ვარდენ დათუნოვს გადაუგზავნა.

არავენ იცის რა დასკვნა გააყოლა ღირღიტაძის თხოვნას ბ-ნმა ბოქაულმა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ შინაარსი მისი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური იყო.

— როგორაც გავიგე ციმბირიდან გამოპარულა ვილაცა და თქვენს საზოგადოებაში იმალება; თუ სამი დღის განმავლობაში არ წარმოვიდგენიათ ის დაქერილი, იძულებული ვიქნები სოფლის ჯარმა 3000 მანეთი გადავხდევინო“ კონფიდენციალურათ აცნობა მაზრის უფროსმა სოფ. მეწყერის მამასახლისს ბეჟან ღირღიტაძის თხოვნის მიღების მეათე დღეს.

მამასახლისის მიერ გავზავნილ განმარტების შემდეგ, რომელშიაც ნათქვამი იყო: „ციმბირიდან არავენ გამოქცეულა, და დრამებში საზოგადოთ ტყულებსა სწერენო, ვარდენ დათუნოვი მოლბა, მარტო მამასახლისის გზირი გაამათრახებია და ბ-ნი ღირღიტაძის თხოვნა მისის შუა რიცხვებში ღუბერნატორს გაუგზავნა.

გუბერნატორის კანცელარიის ხელმძღვანელმა უკვე გაამზადა კონვერტი სამინისტროში გადასაგზავნათ, მაგრამ საქმეში ერთი მოხელეთაგანი ჩაერია და სულ სხვა მიმართულება მისცა. როგორც ყოველ სცენის მოყვარეს, მას ორჯერ მიეღო მონაწილეობა აღნიშნულ პიესაში, იცოდა რომ ის გამოპარული ციმბირელი სულ სხვა გუბერნიისა იყო და რომ ამისთვის არ ღირდა თავის შეწუხება. მართალაც გასქრა ამ გონიერმა რჩევამ და თხოვნა ბ-ნ ბეჟან ღირღიტაძისა და კმაყოფილებულ იქნა.

ექვს აგვისტოს უკვე გაკრული იყო სოფ. მეწყერის ზოგიერთა სახლის კედლებზე და ალყათის კარებზე შავი, წითელი და ლურჯი მგლნით ნაწერი უზარმაზარი ყვითელი ქალაღდის ფურცლები.



## ა ვ ი უ ა

ამა წლის 15 მარტობისთვის, დღით მარტობას, დამხახურებული არტისტის

**თაყა ყურყურიძის** მონაწილეობით

მოხდება წარმოდგენა ა. ცაგარელის

# „ს ი მ ბ ი რ ე ლ ი“

დრამისა.

როლებს ითამაშებენ:

- |                          |                       |
|--------------------------|-----------------------|
| 1) მახუთიანი ტიგრანა     | ხუტუ ჯღერია (უჩიტელი) |
| 2) თაზაგული (ამისი ცოლი) | ალათი დერგაძე-ჯღერია  |
| 3) ნარგიზა (იპათი ქალი)  | ფუტურია ცუცქიძე       |

- |                       |                            |
|-----------------------|----------------------------|
| 4) ივანე (ციმბირელი)  | თაყა ყურუშიძე              |
| 5) ქალია (ამისი ცოლი) | ქაქალა ღორჯომელიძე         |
| 6) ვარო (ამათი ქალი)  | ცუცუკია ფრიტაძე            |
| 7) სტეფან მაკარიჩი    | ვახუშტი ტლიკაძე და სხვანი. |

ვთხოვთ უბილეთოდ ნურავინ შევა და ხმაურობას ნუ დაიწყებს თავის დროზე. ბილეთების ფასი ჩვეულებრივია. წარმოდგენა გაიხსნება სრულ რვა საათზე.



**ვახვთ თეატრში ძაღლები არ შეიყოლიოთ**



რეჟისორი ბეჟან ღირღიტაძე.  
ადმინისტრატორი მათე ყვიჩილაძე.

14 აგვისტოს ს. მეწყერის მაზრის ბავშვები კალიასავით მოედნს სოფელს: სკამებისა, ნოხებისა, ზეწურებისა და სხვა საჭირო ნივთების მოსაგროვებლათ. ზოგიერთა უკულტურო მცხოვრებნი ცივი უარით ისტუმრებდნენ ბავშვებს, ვინაიდან წინა წარმოდგენაზე მათ სკამებს ოთხს ფეხში მხოლოდ თითო, ან ორ-ორი მოპყლოდათ, ხოლო ზოგიერთები სულაც დაკარგულიყო. ივანე ჩიკვაიძის სამ თუმნიანი ნოხი ზე შუაზე გაეფატრა ხმლის უცაბელი მოქნევით ბნ ვაიოზს (და-ძმა). ქნ მაკარინეს დიდი სარკის მხოლოდ მეოთხედი დაუბრუნდა და მთელი კვირე არ გაუტინია.

ახლაც, ეს შეუგნებელი ხალხი, ამ დანაკლისს იგონებდა, თითქო რაიმე საქვეყნო საქმე კეთდებოდეს უმსხვერპლათ. დიდის გაჭიკვრებით იშოვეს ორმოციოდ ტაბურეტი სკამი, ერთი გახუნებული ნოხი და გრძელი ტილო აბრეშუმის სახმობ ფარდულიდან, რომელსაც ფარდობა უნდა გაეწია. ლევან ბრეგვაძისას ლამისათვის გაგზავნილ ბავშვს ძაღლები დატყვივნ და საშინლად დაჭკბინეს. აღშფოთებულმა მსახიობებმა გადასწყვიტეს ზიზი გამოუცხადონ ლევან ბრეგვაძეს ასეთი ავიზნის ძაღლების ყოლისათვის.

მშვენიერი გრილი და მთვარიანი ღამე დარჩა. თეატრს ხალხი ბლომათ მოაწყდა. მიუხედავათ იმი-სა რომ წარმოდგენის გახსნის დრო, 8 საათი, მსხვილი ნიშნებით იყო აღნიშნული ავიზაზე, წარმოდგენა ათის ნახევარზე დაიწყო. პიესამ საზოგადოთ უინციენდენტოთ ჩაიარა, თუ არ მივიღებთ სახეში პატარა ჩხუბს ბილეთის კასასთან (კაკლის ქვეშ). კოწია ჭყვიანაშვილმა ათშაურიან ბილეთში ჯერ ხუთი შაური შეაძლია. კასირმა უარი უთხრა. კოწიამ მოუმატა შაური, კიდევ უარი მიიღო. როცა მესამედ შეიღ შაურზე ავიდა, კასირმა უდიერათ უპასუხა:

— აქ ჩარჩებთან კი არა გაქვს საქმე, ეს დუნუკი გგონიათ, თეატრი და ხელოვნებააო.  
იქვე მდგომმა ვაჰარამა ეს სიტყვები იუკადრისა და შეურაცხყოფისათვის პასუხი მოთხრვა. შეიქნა ჩვეულებრივი მიწვევა მოწვევა, რომლის დროს ხელით შეგხვასაც დაურჩა ადგილი.  
ეს ინციდენტი მიწყნარდა. პიესის მეორე მოქ-

მედება დასრულდა და სუფლიორი ბავლე კვირტაძე დიდის გაჭიკვრებით ამოძვრა თავის სოროდან. მას თვალი შეასწრო ვარდენ ჩხიკვაძემ და მყისვე სუფლიორის ბუდკასთან მიიჭრა. ჩახედა შიგ და დაინახა გადაშლილი წიგნი. მყის მოტრიალდა და მრისხანეთ დაიძახა:

— ხალხო! როგორცა სჩანს, ჩვენ აქ გვატყუებენ. იგინი ტყუილა დაიარებენ ზევით, თურმე ავერ ყოლიენ ჩაჯენილი კაცი და ავი ლაპარაკობს ყოლიფერს. ავი ჩვენი მასხარათ ავდებია მეტი აფერი.

ხალხი სცენასთან მიქრა და თავისი თვალით ნახა სუფლიორისათვის დამზადებული საფარი. საერთო აურ-ზაური შეიქნა. უმეტესობა ფულის უკანვე დაბრუნებას თხოულობდა, მაგრამ კასირი სადლაც წასული აღმოჩნდა. ამან კიდევ უფრო გააბრაზა ხალხი და რეჟისორი იძულებული გახდა ანტრაქტი ერთი საათით განეგრძო.

შეგნებულმა პირებმა მრავალი სიტყვები დახარჯეს სუფლიორის მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ ამაოდ. მსმენელთა თითქმის ნახევარმა წარმოადგენა დასტოვა და წავიდა.


მესამე მოქმედებაში, ფარდის დაშვების დროს მალლა გადებული წაბლის ხე ჩამოვარდა, სცენის კიდევ ჩამომჯდარ უბილეთო მაყურებელს დაეცა და საგრძობლათ დააზიანა. ერთი საათი ამ უსიამოვნებამ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება და ეს კიდევ მშვიდობიანი დასასრული იქნებოდა, თუ თითონ ბეჟან ღირღიტაძეს კულისებში დამპალი იატაკის ფიცარი არ ჩამტყვროდა და მარცხენა ფეხი არ ეღრძო.

მაგრამ უკანასკნელი ხიფათი თურმე წარმოდგენის დასრულებას მოელოდა საზოგადოებას. როცა სიამოვნებით დამთვრალმა ხალხმა გარეთ გამოსვლა იწყო და ერთმანეთის ქუცებით შიშა სამრევლო სკოლის მაღალს ახოვანსა და დაბალი ხარისხოვან კიბეს, იგი მოულოდნელათ ჩაინგრა და ოციოდ ქალ-ვაჟი თან ჩაიყოლია. აუწყრელი ჟრიამული შეიქნა, ვინ ხელი იღრძო, ვინ ფეხი და ვინ კიდევ უგნებლათ გაღარჩა.


საგრძობლათ დაზიანდა თვით რეცენზენტი, სამოქალაქო სკოლის მეორე კლასის მოწაფე აედო ხვიტაძე, რითაც უნდა აიხსნას მისი რეცენზიის ცხარე დამცინავი კილო.

**კოლა.**

# საბავშვო კარიკატურა



ბავშვი. დედილო, ნიკომ უთხრა ლევანს--სოსიკო მერკვილამემ წერა კითხვის საზოგადოება ყინულზე გააცურაო. რისთვის ჯავრობდა ნიკო? იმას რა სჯობია, თუკი ყინულზე გააცურა?



რედაქტორ-გამომცემელი—ნ. დ. უღენტისა.

Печатать разр. воен. цензурой.

Типогр. Т—ва „Прогрессъ“ Лорисъ-Меликовск. № 1.